



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
№733 დადგენილებით

მოდულირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2022 წლის 27 ივლისის
№01-05-04/90 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა

Management of technical projects and industrial policy

ფაკულტეტი

ენერგეტიკის

Power Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი მანანა მალრაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროექტების მენეჯმენტის მაგისტრი
მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში
Master of Project Management

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ვებ გვერდზე <https://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

ბაზრის გლობალიზება მკვეთრად ზრდის უახლესი ტექნოლოგიების გავრცელების შესაძლებლობას, მაგრამ ამასთანავე სულ უფრო ართულებს ამ მიზნით წარმოებული მმართველობითი საქმიანობის სათანადო ამოცანების განხორციელებას. შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიმღებთა წინაშე დგება ტექნოლოგიური განვითარების საკითხების სტრატეგიულ ჭრილში განხილვის აუცილებლობა. ხშირად ასეთი გადაწყვეტილებების შემუშავება ტრადიციულ დარგობრივ, კულტურულ, თუ ეროვნულ საზღვრებში შეუძლებელი ხდება და ინოვაციური მიდგომების გამოყენებას მოითხოვს. ამიტომ პროგრამა "ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა" ტექნოლოგიური და ორგანიზაციული განვითარების ინოვაციური შესაძლებლობების სამეწარმეო პოტენციალის შეფასებასა და რეალიზებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, პრაქტიკული და კვლევითი უნარები, რომლებსაც იგი საკუთარ კურსდამთავრებულებს შესძენს, უზრუნველყოფენ მათ მიერ სათანადო გადაწყვეტილებების მომზადებას და გრძელვადიან სამეწარმეო პოლიტიკაში ასახვას, ქმედით მონაწილეობას შესაბამისი პროგრამების შემუშავებასა და ხორცშესხმაში კონკრეტული პროექტების სახით.

როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციების ანალიზი აჩვენებს, რომ უკვე არსებობს და პერსპექტივაშიც გაიზრდება მოთხოვნა იმ ანალიტიკურ-კვლევითი საქმიანობის შემსრულებლებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან გრძელვადიანი ინდუსტრიული პოლიტიკის და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებასთან და საწარმოთა ოპერაციული სისტემების გარდაქმნასთან, მათი ეფექტურობის და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. აღნიშნულის უზრუნველყოფელი სპეციალისტები უნდა იცნობდნენ თანამედროვე სამეწარმეო გარემოში არსებულ და სამომავლო ტექნოლოგიურ და მმართველობით ტენდენციებს, შეეძლოთ მათი გავლენის შეფასება და პროგნოზირება იმისა, თუ რა ახალ ორგანიზაციულ და ოპერაციულ ამოცანებს დააყენებენ ისინი სამრეწველო და სერვისის საწარმოების წინაშე. საკუთარ გადაწყვეტილებებს ეს სპეციალისტები უპირატესად რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით უნდა იღებდნენ, რომლის შედეგებიც მათ მიერ შემუშავებული პროგრამების და პროექტების შედგენის და რეალიზების საფუძველი უნდა ხდებოდეს.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემით (ECTS), 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის მიზნის მიღწევას.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევით კომპონენტებისაგან. სასწავლო კომპონენტის მოცულობა 90 კრედიტია (15 საათი ეთმობა საწარმოო პრაქტიკას), ხოლო კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) მოიცავს 30 კრედიტს.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (სავალდებულო 80 კრედიტი, არჩევითი 10 კრედიტი). იგი სულ 18 სასწავლო კურსის გავლას ითვალისწინებს, რომელთაგან 2-ს მაგისტრანტი თავად ირჩევს შემოთავაზებული ალტერნატივებიდან (პირველი სემესტრი). სასწავლო კომპონენტებს სტუდენტები გაივლიან პირველ სამ სემესტრში, ხოლო კვლევით კომპონენტს მე-4 სემესტრში. საწარმოო პრაქტიკას, რომელიც ინტეგრირებულია სასწავლო კურსში "პროექტების რისკების მენეჯმენტი" სტუდენტები გაივლიან მე-3 სემესტრში.

კვლევითი კომპონენტი

პროგრამის კვლევით კომპონენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი. კვლევითი კომპონენტის მიმართ მოთხოვნებისა და შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია

მოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში მაგისტრატურის შესახებ <https://gtu.ge/Learning/Magistracy.php>

საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულების და დაცვის წესი იხ. სტუ-ს ვებ გვერდზე: <https://gtu.ge/pdf/magistraturis debuleba danarTi 4 2019.pdf>

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე: <https://gtu.ge/pdf/magistraturis debuleba danarti 5 2019.pdf>

სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების გაფორმების, სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების, მობილობის და სხვა საჭირო ინფორმაცია მოცემულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებ გვერდზე: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მენეჯერების მომზადება, რომლებიც გადაწყვეტილების რაოდენობრივი მოდელების გამოყენებით, შეძლებენ საწარმოთა საქმიანობის სტრატეგიული და ფინანსური ანალიზის ჩატარებას, შესაბამისი რისკების შეფასებას და მათ ასახვას ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ტექნოლოგიური ინოვაციების ასათვისებელ პროგრამებსა და პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო სისტემების, მათ შორის ლოგისტიკური სისტემების, თანამედროვე ინჟინერინგსა და მართვას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. ინოვაციების სფეროში ცოდნისა და უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე, პროგნოზირებს და აფასებს ეკონომიკურ-ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებს; ამზადებს რეკომენდაციებს ტექნოლოგიურ სისტემებში მიმდინარე პროცესებისა და მათი მიმდინარეობის მართვის, აგრეთვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული სამეწარმეო პრობლემების გადაწყვეტის შესახებ;
2. აღწერს ინოვაციათა განვითარების პროცესებს და მათი მართვისთვის გამოყენებულ ზოგად მიდგომებს; აიდენტიფიცირებს ტექნოლოგიურ ინოვაციათა სამეწარმეო პოტენციალს და განსაზღვრავს მათი ათვისებისთვის საჭირო ღონისძიებებს; აგროვებს და შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით აანალიზებს ამ ღონისძიებების რეალიზების ამსახველ ინფორმაციას; საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს და ატარებს სათანადო მაკორექტირებელ ღონისძიებებს;
3. აყალიბებს საწარმოს მისიისა და მიზნების შესაბამის სტრატეგიას, გეგმავს და წარმართავს მათ მიღწევაზე მიმართულ ოპერაციულ პროცესებს, რომლებსაც აჯგუფებს საწარმოო ნაკადებში, უზრუნველყოფს ამ ნაკადების შედეგიანი მიმდინარეობისთვის საჭირო მოქმედებებს: აგროვებს და აანალიზებს მოთხოვნებს საწარმოთა ოპერაციული საქმიანობის რესურსულ უზრუნველყოფისადმი, აგეგმარებს საწარმოს ლოგისტიკას, ადგენს შესაბამისი მიწოდების ჯაჭვების სტრუქტურას, აორგანიზებს სასაწყობო მეურნეობის ოპტიმალურ მუშაობას, აფასებს საწარმოო პროცესების მიმდინარეობის ლოგისტიკური უზრუნველყოფის სისტემების ეფექტურობას;
4. ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ერთმანეთთან აკავშირებს ინდუსტრიული რევოლუციის განმსაზღვრელ თავისებურებებს, გეგმავს სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე მიმართულ პროგრამებსა და პროექტებს, ახორციელებს საპროექტო რისკების, ფინანსურის და ლოგისტიკურის ჩათვლით, ხარისხობრივ და რაოდენობრივ ანალიზს, ამუშავებს რისკებზე რეაგირების სტრატეგიას; განსაზღვრავს პროგრამის/პროექტის სარეალიზაციო სამუშაოების საბაზისო გეგმას; ორგანიზებას უკეთებს პროექტის ხარისხის უზრუნველყოფელ

- ლონისძიებების შესრულებას; პროექტების მართვის პროგრამული საშუალებების გამოყენებით ახდენს პროექტის მიმდინარეობის კონტროლს;
5. დაინტერესებული მხარეების (სტეიკჰოლდერების) მოთხოვნილებათა ანალიზის საფუძველზე, ირჩევს საწარმოო სისტემის განმსაზღვრელ მახასიათებლებს და მათი პარამეტრების შესაბამის მნიშვნელობებს, ადგენს სათანადო მრავალდონიან სამეწარმეო სისტემის იერარქიულ მოდელს, აკეთებს დასკვნებს მისი ვალიდურობის, შემდგომი განვითარების საჭიროებისა და შესაძლებლობის შესახებ; უზრუნველყოფს სისტემური ხასიათის გადაწყვეტილებების თავსებადობას სამეწარმეო ორგანიზაციის მისიასა, სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ტაქტიკურ ამოცანებთან;
 6. აღწერს საწარმოში არსებულ და დასაგეგმარებელ ბიზნეს პროცესებს, აკავშირებს პირველადი და დამხმარე პროცესების შესაძლებლობებს საწარმოს მიერ მიღწეულ კონკურენტუნარიანობასთან, განსაზღვრავს მათი მოდერნიზების აუცილებლობას; სტრატეგიული სარგებლის მაქსიმიზების მიზნით ადგენს ახალ ორგანიზაციულ მოდელებს და ასაბუთებს მათი სარეალიზაციო პროექტების განხორციელების საჭიროებას;
 7. სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზებისა და მენეჯმენტის კომპლექსური პრობლემების გადაჭრისას, ოპერირებს სათანადო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით; რეალური სიტუაციის აღმწერი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ტექნოლოგიური რევოლუციით შექმნილი ახალი შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, ირჩევს გადაწყვეტილების მიღების შესაბამის რაოდენობრივ მოდელებს და სარგებლობს იმიტაციური მოდელირებით, აგეგმარებს პლატფორმას შესაბამისი ინტერაქციების სტიმულირებისთვის;
 8. ორგანიზაციის ეფექტურად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიებს; შეიმუშავებს ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მეტი ეფექტურობით გამოყენების გზებს, ირჩევს და იყენებს წარმოქმნილი კონფლიქტების აღმოფხვრის აპრობირებულ მეთოდებს;
 9. ბიზნეს-დოკუმენტებთან მუშაობის პროცესში, ანალიზის, სინთეზისა და შედარების გზით აზუსტებს მონაცემებს და სრულფასოვანი ფორმით, შინარსითა და შესაბამისი სტილით წარადგენს ინფორმაციას როგორც სტეიკჰოლდერებთან, ისე მთლიანად საზოგადოებასთან; აწარმოებს მიმდინარე დოკუმენტაციას, ადგენს განაცხადებს, რეზიუმეებს და ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკების თანმხლებ სხვა დოკუმენტებს;
 10. დამოუკიდებლად, საკუთარი კვლევების განხორციელების გზით, არაპროგნოზირებად გარემოში ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით პოულობს და იყენებს პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი საქმიანობის შედეგებზე; აცნობიერებს საკუთარი პროფესიული ზრდის აუცილებლობას და გეგმავს მომავალი განვითარების პერსპექტივებს; მოქმედებს ეთიკური პრინციპების დაცვით, პატივს სცემს სხვის აზრს, ასაბუთებს საკუთარ პოზიციას და მონაწილეობს პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირებულებების ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პროექტული საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain

storming), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ნიშნავს დამატებითი გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კომპონენტებისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა დაწვრილებით აღწერილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, საჯარო დაცვა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად. შეფასება ხდება 100 ქულით. შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით“.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw proc mart inst 18.1119 SD.pdf>

დასაქმების სფერო

ნებისმიერი საწარმო, სამეცნიერო ორგანიზაცია, თუ სახელმწიფო მართვის ორგანო, სადაც ხორციელდება ტექნოლოგიებთან მიმართებაში სამეწარმეო სტრატეგიების შემუშავებასთან დაკავშირებული პროგრამები და პროექტები, რომლებიც საჭიროებენ კვლევითი,

ინჟინერინგის და მმართველობითი ფუნქციების შესრულებას, დაკავშირებულს ოპერაციული სისტემების გარდაქმნასთან ინოვაციური მიდგომების გამოყენების საფუძველზე, ინდუსტრიული გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზებასთან.

- სახელმწიფო, სამთავრობო დაწესებულებებში და უწყებებში (სამინისტროები, დეპარტამენტები და ა.შ.);
- სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- ეკონომიკის ნებისმიერი სფეროს სახელმწიფო სექტორში და კერძო (ადგილობრივ და უცხოურ) კომპანიებში (ფირმები, კორპორაციები, სადაზღვევო, საშუამავლო და სადისტრიბუციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, საექსპორტო-საიმპორტო სააგენტოები და სხვა);
- სამეცნიერო და ანალიტიკურ სტრუქტურებში;
- სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- სახელმწიფო და კერძო ერთობლივ საწარმოებში;
- მცირე და საშუალო ბიზნესში;
- მრეწველობის სხვადასხვა დარგში;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამას აქვს სრული უზრუნველყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური კაპიტალით და საჭირო მატერიალური რესურსით, რომელიც მოცემულია დანართის სახით.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 26

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი				
			I წელი		II წელი		
			სემესტრი				
			I	II	III	IV	
1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	არ აქვს	5				
	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)						
	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)						
	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)						
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	არ აქვს		5			
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)						
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)						
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)						
3	გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები	არ აქვს	5				

4	კომუნიკაცია და მოლაპარაკება ბიზნესში	არ აქვს	5			
5	ტექნოლოგია და ბიზნეს-მოდელები	არ აქვს	5			
6	ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიები	არ აქვს		5		
7	საწარმოო და ბიზნესპროცესების ინჟინერინგი	არ აქვს		5		
8	სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციები	ტექნოლოგია და ბიზნეს-მოდელები		5		
9	ლოგისტიკური სისტემების მოდელირება	არ აქვს		5		
10	სისტემათა ინჟინერინგი	არ აქვს		5		
11	ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი	გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები			5	
12	საინვესტიციო პროექტების ფინანსური მენეჯმენტი	ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიები			5	
13	პროგრამების და პროექტების მართვა	სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციები			5	
14	პერსონალის მართვის მოდელები და მეთოდები	კომუნიკაცია და მოლაპარაკება ბიზნესში			5	
15	პროექტების რისკების მენეჯმენტი	სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციები			5	
16	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	არ აქვს			5	
არჩევითი სასწავლო კურსები						
1	საწარმოს ეკონომიკა	არ აქვს	5			
	პროექტირების მეთოდები					
2	ინოვაციათა მარკეტინგი	არ აქვს	5			
	საწარმოო მართვის სისტემები					
			სემესტრში:	30	30	30
			სულ:	90		
კვლევითი კომპონენტი:						
სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა		სავალდებულო სასწავლო კურსები				30
			სულ სემესტრში:	30	30	30
			სულ წელიწადში:	60		60
			სულ:	120		

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	LEH12412G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	5/125			45					2	2	76
2	LEH12212G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)	5/125			45					2	2	76
3	LEH12612G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)	5/125			45					2	2	76
4	LEH12812G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)	5/125			45					2	2	76
5	LEH12512G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	5/125	15		30					2	2	76
6	LEH12312G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)	5/125	15		30					2	2	76
7	LEH12712G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)	5/125	15		30					2	2	76
8	LEH12912G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)	5/125	15		30					2	2	76
9	MAS31202G2-LB	გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები	5/125	15			30				1	2	77
10	BUA36802G1-LS	კომუნიკაცია და მოლაპარაკება ბიზნესში	5/125	15	30						1	2	77
11	BUA37802G3-LSK	ტექნოლოგია და ბიზნეს-მოდელები	5/125	15	20				10		1	2	77
12	SOS11502G2-LS	ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიები	5/125	15	30						1	2	77
13	EET40402G4-LSBK	საწარმო და ბიზნესპროცესების ინჟინერინგი	5/125	15	6		15		9		1	2	77
14	BUA39002G2-LS	სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციები	5/125	15	30						1	2	77
15	BUA36902G1-LP	ლოგისტიკური სისტემების მოდელირება	5/125	15		30					1	2	77
16	EET06702G1-LB	სისტემათა ინჟინერინგი	5/125	15			30				1	2	77
17	BUA39302G2-LB	ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი	5/125	15			30				1	2	77

18	BUA20502G2-LP	საინვესტიციო პროექტების ფინანსური მენეჯმენტი	5/125	15		30			1	2	77
19	BUA39102G2-LBK	პროგრამების და პროექტების მართვა	5/125	15			10	20	1	2	77
20	BUA37102G1-LP	პერსონალის მართვის მოდელები და მეთოდები	5/125	15		30			1	2	77
21	BUA39202G2-LSR	პროექტების რისკების მენეჯმენტი	5/125	15	15			15	1	2	77
22	BUA36402G1-LB	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	5/125	15		30			1	2	77
არჩევითი სასწავლო კურსები											
23	SOS11902G1-LP	საწარმოს ეკონომიკა	5/125	15		30			1	2	77
24	BUA38902G2-LP	პროექტირების მეთოდები	5/125	15		30			1	2	77
25	BUA54802G1-LS	ინოვაციათა მარკეტინგი	5/125	15	30				1	2	77
26	EET40302G4-LS	საწარმოო მართვის სისტემები	5/125	15	30				1	2	77

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

Handwritten signature

მანანა მალრაძე

ენერგეტიკის ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

Handwritten signature

ქეთევან ქუთათელაძე

ფაკულტეტის დეკანი

Handwritten signature

ლენა შატაკიშვილი

მიღებულია

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 3 ივლისი 2012 წელი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან


დავით მახვილაძე

მოდირეგირებულია

ენერგეტიკის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 25 ივლისი 2022 წელი, ოქმი №8

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

Handwritten signature



ლენა შატაკიშვილი